



2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

3 - 23 მაისი, 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2014 წლის 15 აპრილიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით და მოიცავს 7 გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 3 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ ქართულ ბეჭდურ მედიაში მკვეთრად გაიზარდა მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა.
- ეს ცვლილება განსაკუთრებით შესამჩნევია გამოცემებში: „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“, „კვირის ქრონიკა“.
- გაზეთი „ალია“ ღიად მოუწოდებს მკითხველს, რომ არჩევნებში ხმა არ მისცენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ან კოალიცია „ქართულ ოცნებას“.
- ნაკლები სიხშირით შუქდება მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო საქმიანობა; გამოცემები მეტ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკური პარტიებისა და სახელისუფლებო ძალების გაშუქებას.
- მერობის კანდიდატებს შორის უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატის ნიკა მელიას გაშუქებისას იკვეთება.
- ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები ირღვევა გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“, „ახალი თაობა“.
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევები გვხვდება გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“.

რეზონანსი


მონიტორინგის მეორე პერიოდში „რეზონანსი“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემაში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. „რეზონანსი“ გამოირჩეოდა ცალკეულ სტატიებში ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (25%), კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (24%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (16%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგს არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (30%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 1). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი ტონი ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „რეზონანსის“ ჟურნალისტები მონიტორინგის პერიოდში თავს იკავებდნენ პოლიტიკური შეფასებებისა და დაუსაბუთებელი მსჯელობისგან. მერობის კანდიდატთა გაშუქებისას გაზეთში ჭარბობს ნეიტრალური ტონი (იხ. დიაგრამა 2).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „რეზონანსი“ გამოირჩეოდა ინფორმაციის წყაროთა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში; მაგალითად: „გამოვა თუ არა ბაჩო ახალაია ციხიდან 26 ივლისს?“ (22.05.2014, გვ.2), სტატიაში წარმოდგენილია როგორც ბაჩო ახალაიას ადვოკატის, ასევე მანანა კობახიძის, ეკა ბესელიას, ორაკლი სესიაშვილისა და ბრალდებულის მეუღლის კომენტარები, „როგორ მოვაჩვენოთ ხალხს ერთი სამად, ან სამი ერთად მაინც“ (12.05.2014, გვ. 3), სტატიაში წარმოდგენილია განსხვავებული ხედვები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მეორე პერიოდში „რეზონანსი“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

(დიაგრამა 1, სუბიექტების გაშუქება, „რეზონანსი“)



(დიაგრამა 2, მერობის კანდიდატების გაშუქება, „რეზონანსი“)



ალია

მონიტორინგის მეორე პერიოდში „ალიაში“ კიდევ უფრო მოიმატა როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ასევე მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკამ. ხშირ შემთხვევებში ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა, არაეთიკური გამონათქვამები, დაუზუსტებელი ფაქტებისა და ნაკლებად სანდო წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენების შემთხვევები.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად კოალიცია ქართული ოცნების (31%) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (57%) და მთავრობის (21%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (57%), კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (56%) და მთავრობის (38%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 3). უარყოფითი ტონის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი კი „ბურჯანაძე - ერთიან ოპოზიციას“ (1%) ერგო. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში მერობის კანდიდატების საქმიანობა „ალიას“ აქტიურად არ გაუშუქებია.

პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ „ალიაში“ მკვეთრად გაიზარდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა. 6 მაისის გამოცემის პირველ გვერდზე რედაქციამ გამოაქვეყნა მოზრდილი (საკმაოდ შეურაცხმყოფელი ელემენტების შემცველი) სურათი სათაურით „ქართულმა ოცნებამ შენ მოგატყუა“. ამავე ნომრის გვერდებზე გვხვდებოდა მოკლე განცხადებები, სადაც გადახაზული იყო ნომრები 5 და 41 - გაზეთის რედაქცია ღიად მოუწოდებდა მკითხველს, რომ არჩევნებში არ მიეცათ ხმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობისთვის“ ან კოალიცია „ქართულ ოცნებისთვის“. ასევე, ამავე გვერდის პირველ ნომერზე რედაქციამ გამოაქვეყნა „ნეკროლოგი“, რომელიც „ქართული ოცნების უდროოდ გარდაცვალებას“ იუწყებოდა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები; მაგალითად: „ქალბატონო ფანჯიკიძე! როგორც მახსოვს, ჯერ კიდევ პირველი დიპლომატი ბრძანდებით, უკაცრავად და რით ვერ გაცდით „შალახოს“, შავ კოლგოტკებს, შავ ჩანთასა და თათარიახნად დაყრილ „შავ-ბნელ“ სასუნავებს?!“, „... მარგველაჩემს ხალხის აზრი ამ თემაზე სულ ფეხებზე ჰკიდია, რაც პრინციპში მართალიცაა, ვისი რა საქმეა „მარგველაჩემი“ ვისთან იზიარებს სარეცელს“. („რა საერთო აქვთ გიორგი მარგველაშვილსა და საფრანგეთის პრეზიდენტს?“, 16.05.2014, გვ. 7).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალია“ უკიდურესად არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთის რედაქცია ღიად მოუწოდებს მკითხველს, რომ არჩევნებში ხმა არ მისცენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“. სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

(დიაგრამა 3, სუბიექტების გაშუქება, „ალია“)



კვირის პალიტრა

მონიტორინგის მეორე პერიოდში „კვირის პალიტრა“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემაში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.


მონიტორინგის პერიოდში ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (43%), მთავრობისა (22%) და პრემიერმინისტრის (15%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი (31%) ერგო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (იხ. დიაგრამა 4). მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრას“ აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში აქტიურად გაშუქდა მთავრობის წარმომადგენელთა პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები. ასეთ სტატიებში ჟურნალისტთა მსჯელობა გამყარებული იყო შესაბამისი მონაცემებით, თუმცა რიგ შემთხვევებში ჟურნალისტის ტექსტი შეიცავდა შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას საჯარო მოხელეთა მიმართ; მაგალითად: „ამკარად ჩანს, რომ საქმე დიდ მადასთან გვაქვს. ალბათ რბილ სავარძელში მოკალათებულ ზოგიერთ მოხელეს ავიწყდება, რომ ეს ის ქვეყანაა სადაც საოპერაციო ბლოკის უფროს ექთანს ოპერაციაში 20 თეთრს უხდიან“, „მოკლედ, ქვეყნის ბიუჯეტი ძველებურად საკუთარი ჯიბე ჰგონიათ, ამიტომაც, ხელისუფლებამ ზოგიერთი მოხელის გაძლიერებული მადა უნდა მოთოკოს“. („მასშტაბური პრემიები, ვის აუხდა

ოცნება?“, 19-25.05.2014, გვ. 6-7). აღნიშნული მაგალითის გარდა ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები „კვირის პალიტრაში“ არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრა“ საკმაოდ ობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. შეიმჩნევა უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას.

(დიაგრამა 4, სუბიექტების გაშუქება, „კვირის პალიტრა“)



ასავალ-დასავალი

მონიტორინგის მეორე პერიოდში „ასავალ-დასავალში“ მკვეთრად გაიზარდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა. ასევე, გაზეთი კვლავ უკიდურესად კრიტიკულად აშუქებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ გაშუქებისას. გაზეთში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტების უბეში დარღვევის შემთხვევები. ხშირია ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალმა“ უკიდურესად არაობიექტურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (39%), პრემიერმინისტრი (20%) და კოალიცია „ქართული ოცნება“ (14%) გაშუქდა. უარყოფითი

ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის (74%), კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (68%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (61%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 5). უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგო მთავრობას (50%) და პრეზიდენტს (47%). აღსანიშნავია, რომ ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ გაშუქებისას უარყოფითი ტონი საერთოდ არ დაფიქსირებულა. მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალს“ აქტიურად არ გაუშუქებია.

პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ „ასავალ-დასავალში“ მკვეთრად გაიზარდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა. ასევე, გაზეთის ჟურნალისტები კვლავ გამოირჩევიან დისკრიმინაციული და შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას; მაგალითად: „ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნის შემდგომი დაახლოება პირდაპირ არის მიზმული იმაზე, თუ რამდენად მხნედ და თავისუფლად იგრძნობენ თავს საქართველოში პედერასტები და ნაცები! და აი, ამ ნაცპედერასტულ მიზანსცენას ევროპული სიდიდითა და აუღელვებლობით დააკვირდებიან...“ („რომპეის ჩირაღდნები“, 19.05.2014, გვ. 3), „ნაციონალები სპორტის სასახლეს კი არ უნდა ავსებდნენ, ციხის ნარებზე წამოწოლილი კროსვორდს უნდა ავსებდნენ“ („მიშმაკი დეტალებშია“, 19.05.2014, გვ. 6).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალი“ უკიდურესად არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთი გამოირჩევა შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის ინტენსიური გამოყენებით. „ასავალ-დასავალის“ სტატიებში სისტემატურად ირღვევა აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტური სტანდარტი.

(დიაგრამა 5, სუბიექტების გაშუქება, „ასავალ-დასავალი“)



ახალი თაობა

მონიტორინგის მეორე პერიოდში „ახალ თაობაში“ იმატა მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკამ. გაზეთი კვლავ საკმაოდ კრიტიკული რჩება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართაც. რიგ შემთხვევებში გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები, რაც გამოიხატებოდა ჟურნალისტთა დაუსაბუთებელ მსჯელობასა და არაეთიკურ გამონათქვამებში.


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (25%), მთავრობის (18%) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (18%), და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (12%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (49%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (33%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 6). ასევე, უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლები პრემიერმინისტრისა (28%) და მთავრობის (25%) გაშუქებისას.

თბილისის მერობის კანდიდატებს შორის დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დიმიტრი ლორთქიფანიძის (8%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 7). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის ნიკა მელიას გაშუქებისას კი უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელი გამოიკვეთა (41%).


პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ „ახალ თაობაში“ გახშირდა კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის კრიტიკა. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არაერთხელ დაფიქსირდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და არაეთიკური გამონათქვამები როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ასევე კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის წარმომადგენელთა მიმართ. მაგალითად: „ამირსპასალარ ირაკლი ალასანიას თავზე შავი ღრუბლები გროვდება“ („ირინა იმერლიშვილი ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ“, 10.05.2014, გვ. 2), „ნაცებს, ოცნების დოყლაპობითა და რესპუბლიკელების მხარდაჭერით, ხელისუფლებაში დაბრუნება სურთ“ („შეთქმულემა აჭარის „ქართულ ოცნებაში“, 16.05.2014, გვ. 4). ასევე, მონიტორინგის მოცემულ პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც გაზეთის ჟურნალისტმა ერთ-ერთი პარტიის მხარდამჭერებს მიმართა შეურაცხმყოფელი ტერმინით: „ხუთეულის ფანებო, არ ინერვიულოთ, თქვენი რჩეულების დიპლომებს მიაკვლიეს!!“ („რატომ მალავს პარლამენტის აპარატი გოკა გაბაშვილის და ნუგზარ წიკლაურის დიპლომებს“, 8.05.2014, გვ. 6).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ახალ თაობაში“ შეიმჩნევა საკმაოდ კრიტიკული განწყობა როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ასევე მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ. რიგ შემთხვევებში გაზეთის ჟურნალისტები ღიად გამოხატავენ მათ უარყოფით განწყობას ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

(დიაგრამა 6, სუბიექტების გაშუქება „ახალი თაობა“)



(დიაგრამა 7, მერობის კანდიდატების გაშუქება „ახალი თაობა“)



ვერსია


მონიტორინგის მეორე პერიოდში „ვერსიაში“ კვლავ შეიმჩნეოდა საკმაოდ კრიტიკული განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. გაზეთში ასევე მოიმატა მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკამ. ახალი ამბების გაშუქებისას გაზეთში უმეტესად დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები, ხოლო საავტორო სტატიებში ხშირად ჰქონდა ადგილი დაუსაბუთებელ მსჯელობას, არაეთიკური გამოხატუვანების გამოყენებას და ნაკლებად სანდო წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნებას.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (25%), მთავრობის (19%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (17%) და პრემიერმინისტრის (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (52%) გაშუქებისას. დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ დაფიქსირებულა (იხ. დიაგრამა 8). მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა „ვერსიას“ აქტიურად არ გაშუქებია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და არაეთიკური გამონათქვამები სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ; უმეტეს შემთხვევებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მიმართ. მაგალითად: „9 წლის განმავლობაში, ნაციონალურ მოძრაობას შურისძიების, საკუთარი ერის დასჯის, დაპატიმრების, გაუპატიურების, მოკვლისა და სულში ჩაფურთხების მეტი თითქმის არაფერი უკეთებია“ („ბომბი, რომელსაც ნაციონალები არჩევენამდერამდენიმე დღით ადრე ააფეთქებენ“, 12.05.2014, გვ. 3). გაზეთში არაერთხელ შეგვხვდა ნაკლებად სანდო წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები; მაგალითად: „კულუარებში გავრცელებული ვერსიით, როგორც ამბობენ, სწორედ მოროშკინას რეკომენდაციით, უდო-ს კომისიამ ვადაზე ადრე გაათავისუფლა...“, „სასჯელაღსრულების კულუარებში ამბობენ, მოროშკინას აღნიშნული კონტაქტებისა და ნაცნობობის შესახებ „ზემოთ“ შეიტყვეს და შეიმჩნიესო“. („ლალი მოროშკინას გახმაურებული „ციხის სკანდალი“, 21.05.2014, გვ. 5).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვერსია“ კვლავ საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ახალი ამბების გაშუქებისას უმეტესად დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები, საავტორო სტატიებში კი არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 8, სუბიექტების გაშუქება, „ვერსია“)



კვირის ქრონიკა


მონიტორინგის მეორე პერიოდში „კვირის ქრონიკაში“ მკვეთრად მოიმატა კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ კრიტიკამ. გაზეთი კვლავ უკიდურესად კრიტიკული რჩება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართაც. ხშირად შეგვხვდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ სუბიექტურ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (31%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (22%), მთავრობისა (13%) და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (9%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (73%) და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (71%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 9). უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ერგოთ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (59%) და მთავრობას (55%). თბილისის მერობის კანდიდატების გაშუქებისას აღსანიშნავია უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები დავით ნარმანიასა (67%) და ნიკა მელიას (64%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 10).


პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ „კვირის ქრონიკაში“ მკვეთრად გაიზარდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა. გაიზარდა „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ გაშუქებისას უარყოფითი ტონის პროცენტული მაჩვენებელიც, რაც განაპირობა ვრცელმა სტატიამ, რომელიც საკმაოდ კრიტიკულად განიხილავდა ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ საქმიანობას („ნინო ბურჯანაძე ამომრჩეველს ატყუებს?“, 12.05.2014, გვ. 33). მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის ქრონიკაში“ არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. მაგალითად: „ჩემო ზუგდიდწაგებულო ირაკლი [ალასანი], შენს ადგილზე ახალაიას ბუჭქი მოუგებდა არჩევნებს“, „მიყუბდი, ირაკლი [ღარიბაშვილი], სანამ ეგ პოსტიც არ დაგიკარგავს, შენი ხიბლი ხომ პოსტებშია და არა სამართლიანობისთვის ბრძოლაში“ (“NDI – „ნაციონალური დადებილების ინსტიტუტად“ გამოფრეს“, 12.05.2014, გვ. 9-10); „რაო, ქალბატონო ნინო, „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ კოჰაბიტაცია დანაშაულია და თქვენი პარტიისა და „ნაცმოძრაობის“ კოჰაბიტაცია ცხონებაა თუ როგორაა საქმე?“ („ნინო ბურჯანაძე ამომრჩეველს ატყუებს?“, 12.05.2014, გვ. 33-34); „თავზე „ტალავერის“ დაწყობას [ჯონდი ბღათურიასზე], თავის საერთოდ გადაპარსვა ამჯობინა, ისე, რომ თმის გადანერგვაზე არ უფიქრია“ („რა ქონება აქვს ჯონდი ბღათურიას?“, 12.05.2014, გვ. 35-36). ასევე, პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ დღეს „კვირის ქრონიკამ“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა მოზრდილი (საკმაოდ შეურაცხმყოფელი ელემენტების შემცველი) სურათი სამი წარწერით: „პარლამენტის ნაკაბიჭრებმა სხვის ჩმორობაზე აწი წკმუტუნი აღარ დაიწყით“; „ხელისუფლების „ხოშით“ გატანილ ანტიდისკრიმინაციულ კანონს სამეტაპიან გეგმას უპირისპირებენ!!!!“; „წინა ხელისუფლებას 9 წელიწადი დასჭირდა, რომ შეგვმულეობდა, ამათ კი წელიწად-ნახევარში ამოგვიყვანეს ყელში ყველაფერი“ (5.05.2014).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის ქრონიკა“ საკმაოდ არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 9, სუბიექტების გაშუქება, „კვირის ქრონიკა“)



(დიაგრამა 10, მერობის კანდიდატების გაშუქება, „კვირის ქრონიკა“)



დასკვნა

მონიტორინგის მეორე პერიოდშიც ქართულ ბეჭდურ მედიაში კვლავ საკმაოდ ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტები არ ერიდებიან სუბიექტურ და დაუსაბუთებელ მსჯელობას. მეტიც, მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებში ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები სისტემატურად გვხვდებოდა გაზეთებში „ასავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“ და „ალია“.

პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ პრესაში მკვეთრად გაიზარდა მთავრობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა. გაზეთი „ალია“ ღიად მოუწოდებს მკითხველს, რომ არჩევნებში ხმა არ მისცენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ან კოალიცია „ქართულ ოცნებას“.